ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5954706

ნომერი: AR1900360

თარიღი : 25.05.2022

გაცემის თარიღი : 27.05.2022

გაცნობის თარიღი : 27.05.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ნეკერჩხლის ქუჩა, N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თინა დარბაიძე პ/ნ 01027069073
- თბილისი ივერი ფრანგიშვილის IV გას. N 15

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით საპროექტო სარეკლამო სტიკერები საკმაოდ გადატვირთულია სიმბოლოებით და მსაგავსი სახით სამსახურს მისი მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია. აბრებზე უნდა იყოს მხოლოდ ძირითადი მანიშნებელი და არა გადატვირთული ხასიათის სიმბოლოები. გარდა ამისა, სახელმწიფო ენაზე სათარგმნია "NOW".

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენია ახალი ფოტომონაჟი ყველა მასალისა და გაბარიტული ზომის მითითებით.

2. წარმოადგინეთ შპს მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიას წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა. წარმოადგინეთ შპს მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიას უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ფართის მიმართ, ფართით სარგებლობის ხელშეკრულება საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული. ფართის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ლისი რენთალს აქედან გამომდინარე წარმოადგინეთ მისი უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge